

ირინე აბესაძე

სრული პროფესორი

ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ქართულ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 70-მდე ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია. არის საქართველოს მხატვართა კავშირისა და ხელოვანთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი., სხვადასხვა წლებში მიჰყავდა რადიო და ტელეგადაცემები (“ვერნისაჟი”, “ჯადოსნური ფუნჯი” I არხი). არის ერთერთი დამფუძნებელი საქართველოს მეცნიერ ქალთა საერთაშორისო ასოციაციისა და უცხოეთში ქართული კულტურის ძეგლების დაცვისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია-“საგანძური”ს; არის აშშ ბიოგრაფიათა კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრი; აგრეთვე, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და პრემიების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი; 2004–2005 წწ. იყო გაზეთ “განათლებულ საქართველოს” დამატების “სკოლა. ესთეტიკური განათლება”ს რედაქტორი. აგრეთვე, ქუთაისის საზოგადოებრივ-კულტურული პერიოდული აღმანახი “ხანძთა” რედკოლეგიის წევრი.. 2006წ. იგი იყო ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცხადებული პროფესორ–მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი საკონკურსო კომისიის წევრი. არის თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო სწავლების მიწვეული პროფესორი; შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის”XX ს. სახვითი ხელოვნება” ხელმძღვანელი. დაჯილდოვებულია “ღირსების ორდენით” და აშშ ბიოგრაფიათა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ - “2003 წლის ქალის” საპატიო წოდებით. 2004წ. დაჯილდოვდა ჯ. სოროსის სახ. საერთაშორისო ფულადი გრანტით საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში “ვინ ვინ არის თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში”. სამეცნიერო ინტერესები: - ხელოვნების ისტორია და თეორია, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ესთეტიკა, ხელოვნების მენეჯმენტის საკითხები.